ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 334

„11" ოქტომბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში არსებული 800 კვმ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.36.011) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ტაბახმელაში მდებარე 800 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.36.011) დაინტერესებული პირის - მაია ჯიჯიაშვილისთვის (პ/ნ: 12001006765) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 21 სექტემბრის №37.18.811 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.36.011) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, დაინტერესებული პირის - მაია ჯიჯიაშვილის (პ/ნ: 12001006765) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე 800 კვმ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.11.984) უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი